



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ეროვნული სატყეო სააგენტო  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010165222698818

31 / აგვისტო / 2018 წ.  
№ 852/ს

**2018 წლის 29 აგვისტოს N252 ელექტრონული აუქციონის (ლოტი N01; N02; N03; N04 -სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსი - სოჭის და ნაძვის ჯიშის I; II; III და IV ხარისხის 113.820 მ<sup>3</sup>) შედეგების გამოცხადების შესახებ**

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის №50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსის I; II; III და IV ხარისხის (სოჭი და ნაძვის 113.820 მ<sup>3</sup>) საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N252) გამოცხადების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“-ს უფროსის მოადგილის 2018 წლის 22 აგვისტოს N814/ს ბრძანებისა და ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 29 აგვისტოს N17079/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ მიმდინარე წლის 29 აგვისტოს ჩატარებული N252 ელექტრონული აუქციონის (ლოტი N01; N02; N03 და N04 - I; II; III და IV ხარისხის სოჭის და ნაძვის ჯიშის მერქნული რესურსი - 113.820 მ<sup>3</sup>) შედეგებით, ლოტი N01; N02; N03 და N04 გამოვლინდა გამარჯვებული პირი:

1. აუქციონი N252, ლოტი N01 – ი/მ ავქსენტი ფილფანი (30001005325) – 10.52 მ<sup>3</sup> (I სკ-ნძ).
2. აუქციონი N252, ლოტი N02 – ი/მ ავქსენტი ფილფანი (30001005325) – 35.46 მ<sup>3</sup> (II სკ-ნძ).
3. აუქციონი N252, ლოტი N03 – ი/მ ავქსენტი ფილფანი (30001005325) – 39.48 მ<sup>3</sup> (III სკ-ნძ).
4. აუქციონი N252, ლოტი N04 – ი/მ ავქსენტი ფილფანი (30001005325) – 28.36 მ<sup>3</sup> (IV სკ-ნძ).


2. მიენიჭოს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის უფროსს გამარჯვებულის მიერ კანონმდებლობით და აუქციონის პირობებით დადგენილ ვადაში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის შემდეგ ნასყიდობის ხელშეკრულებასა და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება და დაევალოს, აუქციონის პირობების შესრულებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, აუქციონში გამარჯვებული პირისათვის შესაბამისი მერქნული რესურსის

გადაცემა მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, თანახმად ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვადების დაცვით.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის  
მოადგილე

ხელმოწერილია/  
შტამმდარსმულია  
ელექტრონულად 

გრიგოლი ბლიაძე